

შპს „ღამის შოუ სტუდია“  
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა  
2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „ღამის შოუ სტუდია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

---

სარჩევი

|                                    |      |
|------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 3    |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება       | 4    |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება       | 5    |
| კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება    | 6    |
| განმარტებით შენიშვნები             | 7-14 |

შპს „ღამის შოუ სტუდია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

შპს „ღამის შოუ სტუდია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

| შენიშვნა                                      | 31.12.2022       | 31.12.2021     | 01.01.2021     |
|-----------------------------------------------|------------------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                               |                  |                |                |
| <i>გრძელვადიანი აქტივები</i>                  |                  |                |                |
| ძირითადი საშუალებები 6                        | 41,278           | 54,000         | 118,248        |
| არამატერიალური აქტივები                       | 5,441            | 5,441          | 3,834          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              | <b>46,719</b>    | <b>59,441</b>  | <b>122,082</b> |
| <i>მიმდინარე აქტივები</i>                     |                  |                |                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | 800,243          | 120,539        | 65,473         |
| სავაჭრო მოთხოვნები                            | 161,990          | 99,132         | 119,216        |
| გადახდილი ავანსები                            | 153,608          | 36,509         | 7,885          |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები                | 3,828            | 40,189         | 62,514         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                       | 3,453            | 197,855        |                |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 | <b>1,123,122</b> | <b>494,224</b> | <b>255,088</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>1,169,841</b> | <b>553,665</b> | <b>377,170</b> |
| <i>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</i>     |                  |                |                |
| <i>საკუთარი კაპიტალი</i>                      |                  |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                            | 341,000          | -              |                |
| გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)                 | 686,404          | 364,667        | 327,315        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>1,027,404</b> | <b>364,667</b> | <b>327,315</b> |
| <i>ვალდებულებები</i>                          |                  |                |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 17,900           | 35,872         | 9,985          |
| საგადასახადო ვალდებულებები                    | 45,453           | 120,579        | 19,569         |
| სხვა ვალდებულებები                            | 79,084           | 32,547         | 20,301         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | <b>142,437</b>   | <b>188,998</b> | <b>49,855</b>  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>1,169,841</b> | <b>553,665</b> | <b>377,170</b> |

დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს „ღამის შოუ სტუდია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

ნაწილს.

შპს „ღამის შოუ სტუდია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარებში)

|                                                           | შენიშვნა | 2022           | 2021           |
|-----------------------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                                  | 7        | 3,436,313      | 2,267,785      |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                     | 8        | (2,708,459)    | (1,855,745)    |
| საერთო მოგება                                             |          | <b>727,854</b> | <b>412,040</b> |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები                               |          | 571            | -              |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                         | 9        | (404,364)      | (374,141)      |
| საოპერაციო მოგება                                         |          | <b>324,061</b> | <b>37,899</b>  |
| ფინანსური ხარჯები                                         |          | (3,136)        | (1,629)        |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან |          | 812            | 1,082          |
| მოგება დაბეგვრამდე                                        |          | <b>321,737</b> | <b>37,352</b>  |
| მოგების გადასახადი                                        |          | -              | -              |
| წმინდა მოგება                                             |          | <b>321,737</b> | <b>37,352</b>  |
| სრული შემოსავალი წლის განმავლობაში                        |          | <b>321,737</b> | <b>37,352</b>  |

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს „ლამის შოუ სტუდია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ლამის შოუ სტუდია“


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის  
31 დეკემბერს  
(ლარებში)

|                                                                         | 2022            | 2021            |
|-------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                            |                 |                 |
| მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები                                | 4,018,453       | 2,699,797       |
| მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული<br>ფულადი სახსრები         | (2,581,368)     | (1,872,700)     |
| სხვა შემოსავლები/(ხარჯები)                                              | (1,110,161)     | (732,018)       |
| <b>ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                    | <b>328,704</b>  | <b>95,079</b>   |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                          |                 |                 |
| ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების<br>შეძენისას             | (22,000)        | (8,013)         |
| ფულადი სახსრების -გასვლა/დაბრუნება სესხის სახით                         | 32000           | (32,000)        |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი<br/>სახსრები</b>  | <b>(10,000)</b> | <b>(40,013)</b> |
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                             |                 |                 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან                        | 341,000         | -               |
| <b>ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>                     | <b>341 000</b>  | <b>-</b>        |
| <b>ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის<br/>განმავლობაში</b> | <b>679,704</b>  | <b>55,066</b>   |
| <b>ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის</b>                             | <b>120,539</b>  | <b>65,473</b>   |
| <b>ფულადი სახსრები წლის ბოლოს</b>                                       | <b>800,243</b>  | <b>120,539</b>  |

დირექტორი:

ბუღალტერი



## შპს „ღამის შოუ სტუდია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## შპს „ღამის შოუ სტუდია“

### მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

|                                      | საწესდებო<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება/ზარალი | სულ       |
|--------------------------------------|-----------------------|--------------------------------|-----------|
| ნაშთი - 31.12.2020 წ.                | -                     | 327,315                        | 327,315   |
| 2021 წლის წმინდა მოგება/<br>(ზარალი) | -                     | 37,352                         | 37,352    |
| ნაშთი - 31.12.2021 წ.                | -                     | 364,667                        | 364,667   |
| 2022 წლის წმინდა მოგება/<br>(ზარალი) | -                     | 321,737                        | 321,737   |
| შენატანი საწესდებო კაპიტალში         | 341,000               | -                              | 341,000   |
| ნაშთი - 31.12.2022 წ.                | 341,000               | 686,404                        | 1,027,404 |

დირექტორი:

ბუღალტერი:



## შპს „ღამის შოუ სტუდია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

#### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ღამის შოუ სტუდია“ დაფუძნდა 2007 წლის 09 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არიან :

- ივანე ჭელიძე 92%;
- გოჩა კორხელაური 6%;
- მიხეილ გაჩეჩილაძე 2%;

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: - ივანე ჭელიძე - დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კინოფილმების, ვიდეო და სატელევიზიო პროგრამების წარმოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქ. 5

#### 2. მომზადების საფუძვლები

##### ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2023 წლის 30 ოქტომბერს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

##### ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

#### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

## შპს „ღამის შოუ სტუდია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- სასამართლო დავები. კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. 2023 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით კომპანია არ გააჩნია სასამართლო დავები.

#### 4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

#### 5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

#### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

##### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------------------|--------|--------|
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.7020 | 2.8844 |
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის             | 3.0976 | 3.5040 |
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის             | 3.2766 | 4.0233 |

## შპს „ლამის შოუ სტუდია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

#### ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება გადაზიდვების მომსახურების საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

#### ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე, სალაროში და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

| ჯგუფი                                     | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-------------------------------------------|-------------------------------------|
| კომპიუტერები და ელექტრონული მოწყობილობები | 8-10                                |
| ოფისის სტუმრებილობა                       | 5 - 8                               |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი                   | 5 - 8                               |
| სატრანსპორტო საშუალებები                  | 10                                  |
| სხვა                                      | 5-7                                 |

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

#### მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში

## შპს „ღამის შოუ სტუდია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. გარდა ამისა კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს მოგების განაწილებას დივიდენდის სახით 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან. რის გამოც მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

### ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

### ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## 6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ისტორიული<br>ღირებულება               | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ოფისის<br>აღჭურვილობა<br>და ინვენტარი | ავტო<br>ტრანსპორტი | იჯარით<br>აღებული<br>შენობის<br>კეთილმოწყობა | სულ       |
|---------------------------------------|-------------------------|---------------------------------------|--------------------|----------------------------------------------|-----------|
| ისტორიული<br>ღირებულება<br>31.12.2021 | 412,905                 | 295,331                               | 4,000              | 38,794                                       | 751,030   |
| შემოსვლა                              | 1,780                   |                                       | 20,220             |                                              | 22,000    |
| ისტორიული<br>ღირებულება<br>31.12.2022 | 414,685                 | 295,331                               | 24,220             | 38,794                                       | 773,030   |
| დაგროვილი ცვეთა                       |                         |                                       |                    |                                              |           |
| დაგროვილი ცვეთა<br>31.12.2021         | (390,126)               | (292,533)                             | (2,733)            | (11,638)                                     | (697,030) |
| ცვეთა 2022                            | (24,340)                | (1,240)                               | (4,202)            | (4,940)                                      | (34,722)  |

შპს „ღამის შოუ სტუდია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

|                                        |           |           |         |          |           |
|----------------------------------------|-----------|-----------|---------|----------|-----------|
| დაგროვილი ცვეთა<br>31.12.2022          | (414,466) | (293,773) | (6,935) | (16,578) | (731,752) |
| საბალანსო<br>ღირებულება                |           |           |         |          |           |
| საბალანსო<br>ღირებულება 31.12.<br>2021 | 22,779    | 2,798     | 1,267   | 27,156   | 54,000    |
| საბალანსო<br>ღირებულება 31.12.<br>2022 | 219       | 1,558     | 17,285  | 22,216   | 41,278    |

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 3 436 313 ლარი, ხოლო 2021 წელს 2 267 785 ლარი

| შემოსავალი               | 2022      | 2021      |
|--------------------------|-----------|-----------|
| მომსახურების მიწოდებიდან |           |           |
| მიღებული შემოსავალი      | 3,436,313 | 2,267,785 |
| სულ                      | 3,436,313 | 2,267,785 |

8. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

|                                          | 2022      | 2021      |
|------------------------------------------|-----------|-----------|
| მარაგების ხარჯები                        | 132,6594  | 689,553   |
| შრომის ანაზღაურება                       | 129,2620  | 923,448   |
| მომსახურება                              | 67,034    | 229,610   |
| ტრანსპორტირება და შენახვის<br>ხარჯები    | 22,212    | 13,134    |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | 2,708,459 | 1,855,745 |

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენიარად:

|                       | 2022    | 2021    |
|-----------------------|---------|---------|
| შრომის ანაზღაურება    | 143,624 | 102,605 |
| სოციალური დანარიცხები | 26,738  | 23,503  |
| საიჯარო ქირა          | 145,434 | 141,502 |
| საოფისე ინვენტარი     | 8       | 422     |

## შპს „ღამის შოუ სტუდია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

|                            |                |                |
|----------------------------|----------------|----------------|
| კომუნიკაციის ხარჯები       | 263            | -              |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | 32,942         | 64,248         |
| სხვა საგადასახადო ხარჯი    | 535            | 870            |
| სხვა საერთო ხარჯი          | 13,087         | 156            |
| მანქანის ხარჯები           | 237            | 458            |
| კომუნალური ხარჯი           | 28,271         | 37,644         |
| მივლინების ხარჯი           | 8,067          | 136            |
| ინტერნეტის ხარჯი           | 1,200          | 2,598          |
| საბანკო მომსახურების ხარჯი | 3,849          | -              |
| საკანცელარიო ხარჯები       | 109            | -              |
|                            | <b>404,364</b> | <b>374,142</b> |

### 10. პოტენციური ვალდებულებები

#### ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

#### იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

### 11. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

---

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
  - (ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
  - (დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.
- საანგარიშო პერიოდებში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განუხორციელებია.